საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

12/06/2020
N 09-02-16/188

188-09-02-16-2-202006121615

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების
კულტურისა და სპორტის მინისტრს
ქალბატონ მაია ხაჯიშვილს

სადეპუტატო კითხვა

ქალბატონო მაია,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის პირველი პუნტის შესაბამასად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. 2017 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ,,ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ'' შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებული და დადგენილი წესით დამტკიცებული განათლებისა და კულტურის სფეროში განხორციელებული პროგრამების ფარგლებში ფიზიკური, საჯარო ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის პროგრამით გათვალისწინებულ შეძენილ ან/და შექმნილ ქონებაზე“ არ ვრცელდება ზემოაღნიშნული კანონი. გთხოვთ, მოგვაწოდოთ მოკლე ანალიზი იმისა, თუ როგორ იმოქმედა ამ ცვლილებამ სამინისტროს საქმიანობაზე, რამდენ პირს გადაეცა დღემდე პროგრამით გათვალისწინებული რაიმე სახის ქონება?

2. 2017 წელს, საქართველოს კანონში ,,გრანტების შესახებ'' შესული ცვლილების შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

სამინისტროებს მიენიჭათ გრანტის გაცემის უფლებამოსილება. გთხოვთ, მოგვაწოდოთ მოკლე ანალიზი:

- თუ როგორ აისახა ეს საკანონმდებლო ცვლილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქმიანობაზე?
- გათავისუფლდნენ თუ არა სწავლის დაფინანსების შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადისგან - ,,სწავლა საზღვარგარეთ" - პროგრამის ფარგლებში მონაწილე სტუდენტები?
- განხორციელებული ცვლილებიდან დღემდე რამდენი სტუდენტი დაფინანსდა და რამდენია თანხის საერთო ოდენობა?
- რამდენი გრანტია გაცემული სამინისტროს მიერ დღემდე და რა მიმართულებებზე ხორციელდება გრანტების გაცემა?

3. 2017 წელს საქართველოს კანონში ,,ზოგადი განათლების შესახებ'' შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიენიჭა აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის უფლებამოსილება. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია რამდენ შემთხვევაში განხორციელდა ამის შემდეგ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა?

ვლადიმერ მგალობლიშვილი

კომიტეტის თავმჯდომარე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო